საქართველოს მოსამართლეთა VI კონფერენციის დღის წესრიგი

20 ოქტომბერი 2007 წელი **ქ. თბილისი**

რეგისტრაცია 9^{00}-12^{00}

12^{00} სთ. - კონფერენციის გახსნა

1. 12^{00}-12^{20} სთ.
 შესავალი სიტყვა

(კონსტანტინე კუბლაშვილი – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე)

2. 12^{20}-12^{35} სთ.
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ანგარიში;

(მომხსენებელი ვალერი ცერცვაძე – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი)

3. 12^{35}-12^{50}
საქართველოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ანგარიში;

(მომხსენებელი დიმიტრი გეგელია - საქართველოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე)

4. 12^{50}-13^{05} სთ.
"საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები"-ს დამტკიცება.

(მომხსენებელი კონსტანტინე კუბლაშვილი – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე)

5. სადილი

საქართველოს მოსამართლთა VI კონფერენციის სხდომის ოქმი

თბილისი 20 ოქტომბერი 2007 წელი

სს ,, კონოთეატრი რუსთაველი”

მოსამართლეთა რეგისტრაცია მიმდინარეობა 9.00-დან 12.00 სთ-მდე

კონფერენციაზე მოწვეულია 263 მოსამართლე

რეგისტრაცია გაიარა

კონფერენცია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

კონფერენცია გაიხსნა12^{00} და დასრულდა 13^{05}

სხდომის I ნაწილი

საქართველოს მოსამართლეთა რიგითი მეექვსე კონფერენცია გაიხსნა 2007 წლის 20 ოქტომბერის 1100 საათთზე. კონფერენცია გახსნა კონფერენციის ხელმძღვანელმა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა და მიესალმა მის მონაწილეებს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ წარუდგინა მოსამართლეებს კონფერენციის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული. ცვლილებები ან დამატაბები კონფერენციის დღის წესრიგში არ შესულა.

ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა კონფერენციას წარუდგინა კონფერენციის სხდომის მდივანი ბატონი ირაკლი ართილაყვა, რომლის კანდიდატურაც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის შესაბამისად, გააკეთა მოხსენება სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, როგორც გახსოვთ, 2006 წლის კონფერენციაზე ჩვენ ჩავატარეთ წინა კონფერენციიდან საკმაოდ დიდი ხნის – 3 წლის შემდეგ.

მაშინ ჩვენ ვიმსჯელეთ იმ დიდ ცვლილებეზე, რაც იმ პერიოდის განმავლობაში მოხდა და ხაზი გავუსვით მიმდინარე სასამართლო რეფორმის მნიშვნელობას. მე-5 -ე კონფერენციიდან დღემდე კი მხოლოდ წელიწადი და ცოტა მეტი დრო გავიდა. ეს თითქოს საკმაოდ მცირე ხანია იმისათვის, რომ რაიმე განსაკუთრებულ ცვლილებებზე კიდევ ერთხელ ვილაპარაკოთ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სასამართლო რეფორმა გრძელდება და თანაც, საკმაოდ ინტენსიურად, სალაპარაკო მართლაც ბევრია, მითუმეტეს, რომ ამ მცირე პერიოდში საკმაოდ ბევრი რამ მოხდა ისეთი, რაც პირდაპირ ეხება თითოეულ თქვენგანს და საერთოდ სასამართლო სისტემას.

როგორც იცით, ჩვენი სისტემის რეფორმა, რომელიც 2005 წლის თებერვლიდან მიმდინარეობს ყოვლისმომცველი და მასშტაბურია, იგი მოიცავს სასამართლო სისტემის გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მხოლოდ ფრაგმენტული ცვლილებებით წარმატებას ნამდვილად ვერ მივაღწევთ. სწორედ ამიტომ რეფორმა ფაქტიურად ყველა მიმართულებით ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, საბოლოო შედეგის მიღწევას დრო სჭირდება, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ ეს ცვლილებები შეძლებისდაგვარად სწრაფად და იმავდროულად, მწყობრად და თანმიმდევრულად

განვახორციელოთ, თანაც ამ რეფორმის შედეგს ხვალ არ ველოდებით, ეს ბუნებრივია, იგი გათვლილია სისტემის მომავალ განვითარებაზე და ამ ყველაფერს კი საკმაო დრო სჭირდება.

უპირველეს ყოვლისა, თქვენ იცით, რომ ინსტიტუციური ცვლილებები განხორციელდა, რომლითაც შეიცვალა სასამართლო სისტემის სტრუქტურა და ჩამოყალიბდა მწყობრი, გამართული სისტემა, რომელშიც უზრუნველყოფილია ინსტანციური თანმიმდევრობის პრინციპი. უზენაესში და აპელაციის დონეზე ეს ცვლილებები უკვე ამოქმედდა, ჩვენ უკვე გავაერთიანეთ და შევქმენით 6 დიდი სასამართლო, თავისი, საერთო ჯამში, 13 მაგისტრატი მოსამართლით. წელს დაგეგმილი გვაქვს და ვმუშაობთ კიდევ სამ რეგიონში სასამართლო გაერთიანებაზე, ეს არის რუსთავი, სიღნაღი და ზესტაფონი, თუ მოვახერხეთ გურიაშიც გვინდა გავაერთიანოთსასამართლო ცენტრით ოზურგეთში. ამ სისტემას ბევრი რამე აქვს დადებითი, მაგრამ უპირველესი არის სპეციალიზაცია პირველი ინსტანციის სასამართლოში. ხოლო მომავალ წელს ამ პროცესს, მოსამართლეთა დანიშვნის პარალელურად გავაგრძელებთ.
იუსტიციის უმაღლესი საბჭოში _ ძირეული ცვლილებები, შექმნიდან პირველად მოსამართლეთა უმრავლესობა არის.

მოსამართლეთა სოციალური პირობების გაუმჯობესება – ბიუჯეტი 36 მილიონი ლარამდე, ხელფასები, შეგპირდით, რომ მათი გაზრდა მოხდებოდა თანმიმდევრულად, 100 ლარით 2007 წელს, მომავალ წელს კიდე უფრო მეტი იქნება, მუდმივად გაიზარდოს ხელფასები 2010 წლამდე.
რაც შეეხება იუსტიციის უმაღლეს სკოლას მინდა მოგახსენოთ, რომ - სკოლაში მოსამართლეთა შერჩევისა და გამწესების ახალი სისტემა, გამოცდები, კრიტერიუმების დახვეწა და ჩამოყალიბება; მუდმივი გადამზადება, ფილიალები ბათუმში 14 ადგილიანი და წყალტუბოში 30 ადგილიანი, მსმენელების მომზადება, 14 თვიანი კურსი, რომლის გავლის შემდგომაც სრულად კვალიფიცურად იქნება ჩამოყალიბებული მოსამართლე.

მატერიალურ_ტექნიკური პირობების გაუმჯობესებას რაც შეეხება-შენობის რემონტი, 35 შენობა წლის ბოლოს, 2009 წლის 1 იანვრამდე თითქმის ყველა შენობა, კომპიუტერული შიდა ქსელი, დარბაზები ვენტილაცია, ხმის ჩამწერი პროგრამა აღიჭურვება.
დიდი მადლობა მინდა მოვუხადო ჩვენს მხარდამჭერებს ეუთოს, ევროსაბჭოს. აშშს , გერმანიას და ნორვეგიას.
სწრაფი მართლმსაჯულება რაც გულისხმობს _პროცესის გამარტივება- ცვლილებები, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, სისხლის სახელმძღვანელო წინადადებები-(გაიდლაინები,) რეკომენდაციები, სამოქალაქო, ადმინისტრაციული სამართალწარმოებაში . სამოქალაქოში-85% -რჩება ძალაში, ადმინისტრაციული – 73, ამიტომ დიდი პალატის გადაწყვეტილებები, განსჯადობაზე, კანონის უკუძალაზე, პრეიუდიციაზე. სულ მალე- მაგისტრატებისთვის პრაქტიკული რეკომენდაციები. უნიფიცირებული სასამართლო გადაწყვეტილებების ფორმები. ჩვენი კვლევა- საშაულოდ შეადგენს 17 თვეს, ადმინისტრაციულში უფრო ნაკლებს.

სადისციპლინო სამართალწარმოების -რაოდენობა საჩივრების-2007 წლის 9 თვეში 900-მდე სამართალწარმოება სულ 13 განცხადებაზე, ვენეციის კომისია- ცვლილებები კანონში.

წესრიგის დაცვა-მანდატურის ინსტიტუტის ჩამოყალიბება, იქნება ყველა დიდ სასამართლოში, მერე ყველა მაგისტრატში.
რაც ყველაფერი კეთდება და ძირიზ განვითარებაზე, რადგამადი მიაზი არის ამ რეფორმის არის მოსამართლე. ანუ თითოეული თქვენგანი, , სწორედ თქვენთვის უნდა შეიქმნას ასეთი პირობები, რათა მოსამართლე ყოვლემხრივ დაცულია და გარანტირებულად გრძნობდეს თავს, რათა მან იფირქროს მხოლოდ განსახილვევლად საქმესა და საკუთარ პროფესიულ დონის ამაღლებაზე.

შემდგომ სიტყვით გამოვიდა საქართველის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ბატონი ვალერი ცერცვაძე: ბატონი ვალერი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სასაიამოვნოა დღეს მოსამართლეთა კორპუსს ასე ერთსულოვნად რომ ხედავს. ყველა მოსამართლეს უნდა სჯეროდეს, რომ ის ემსახურება კანონს და თითოეული მოქალაქის სამსახურში დგას. წინა კონფერენციის

შეხვედრის შემდეგ ერთი წელი გავიდა, დღეს აქ, ახალი სახეები, ახალი მოსამართლეებიც არიან, ეს შეიძლება საბჭოს მიღწევად ჩავთვალოთ.

ბატონმა ვალერი ცერცვაძემ კონფერენციაზე მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსზე, მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმებსა და რეზერვში მოსამართლეებზე ისაუბრა და ასევე მაგისტრატი სასამართლოების ფუნქციაზე, სასამართლოს სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე, თუ რამდენი სასამართლო გაიხსნა და ასევე ხაზი გაუსვა მანდატურის სამსახურის როლსა და ფუნქციას. კანონპროექტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებზე საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე განიხილა და აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, აპარატთან ერთად აღნიშნულ კანონპროექტზე ერთსულოვნად მუშაობს და სევე ისაუბრა მოსამართლეთა სოციალურ დაცვის გარანტიებზე და სასამართლოს გაერთიანების თანმდევ შედეგზე რომელიც გამოიხატება აპარატის ახალი, გამოცდილი კადრების შერჩევაში.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თვმჯდომარე ბატონი დიმიტრი გეგელია მან ისაუბრა, რომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის რეფორმის მატერიალურ-ტექნიკურ მხარეს. და დამსწრე საზოგადოებას მოახსენა თუ რა გააკეთ დეპარტამანეტმა მიმდინარე წელს და რის გაკეთებას აპირებს 2008-ში. მიმდინარე სასამართლო რეფორმის ერთ-ერთ კომპონენტს და დეპარტამენტის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მიმართულება წარმოადგენს საერთო სასამართლოების სათანადო შენობა ნაგებობებით უზრუნველყოფა.

2007 წელს დეპარტამენტის ხელმძღვანელობით კაპიტალური რემონტი ჩატარდა 15 სასამართლოს შენობაში დასრულდა ფოთის ოზურგეთის ახალციხის, ახალქალაქის, ზუგდიდის, ხაშურის, წყალტუბოს, დედოფლისწყაროს, შუახვის ჩოხატაურის, თერჯოლის, აბაშს სასამართლოების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშოები. 2007 წლის დასასრულს გარემონტებული იქნა 34 სასამართლო. 2007 წელს გადმოგვეცა და გადმოცემის პროსეშია რიგი ახალი შენობები კერძოდ, ყვარლის, საგარეჯოს, წყალტუბოს, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, წალენჯიხის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ხობის სასამართლოების განსათავსებლად და ასევე დასრულებულია შენობების პასპორტიზაციის პროცესიც. სრულდება თბილისის სააქალაქო სასამართლოს სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები მოეწყო 38 დარბაზი, დამონტაჟდა გახმოვანების სისტემები, ბრონირებული გალიები, დაცვის უზრუნველსაყოფად დამონტაჟდა კამარები. გარემონტებული სასამართლოების ნაწილში დამონტაჟდა და 2007 წლის ბოლოსა და 2008 წელს დამონტაჟდება კონდიციონერები. 2008 წელს სასამართლოები მაქსიმალურად იქნება აღჭურვილი კომპიუტერებით, ფაქსებით, გახმოვანების სისტემებით და სხვა საჭირო ტექნიკით. ასევე გაეროს ეგიდით სრულად დაკომპლექტდა ნინოწმინდის, წალკია და ლენტეხის სასამართლოები. ასევე საერთო სასამართლოების ინტერნეტით უზრენველყოფის მიზნით, ტენდერის საშუალებით ტელენტთან გაფორმებულია 3 წლიანი ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც, 2008 წლამდე ყველა რაიონული სასამართლო უზრუნველკოფილი იქნება ინტერნეტიტ მომსახურებით, გარდა სასამართლოებისა სადაც მიმდინარეობს სარემონტო- სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

საქართველოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თვმჯდომარის სიტყვის სრული ვარიანტი თან ერთვის სხდომის ოქმს.
ასევე დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო,, საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების”-ს დამტკიცება, რომელიც მიღებულ იქნა ერთხმად.

,,საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების”-ს დამტკიცების გადაწყვეტილება თან ერთვის სხდომის ოქმს.

ბოლოს სხდომა დახურა საქართველოს უზენაესი სასამართლის თავმჯდომარემ ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა

კონსტანტინე კუბლაშვილი

მოსამართლეთა კონფერენციის ხელმძღვანელი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ირაკლი ართილაყვა

მოსამართლეთა კონფერენციის მდივანი